ვებ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების" (შემდგომში „ხელშეკრულება") შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების 12.1.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

12.1.1 პლასტიკური ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული და 3D უსაფრთხოების სერვისით აღჭურვილი ,,ვიზა'' (VISA) ან ,,მასთერქარდ'' (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით, ბიზნეს-ბარათის გარდა, კლიენტის ან მის მიერ წერილობით დასახელებული პირის (შემდგომში "ბარათის მფლობელის") მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას.

2. შეიცვალოს ხელშეკრულების 31.3.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

31.3.1 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ექნება მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). ამავდროულად, კლიენტის ნებისმიერ შეტყობინებას / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს / დასტურს აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.